

## C რეაქტიული ცილა (CRP)

CRP არის მწვავე ფაზის რეაქტანტი, რომელიც სინთეზირდება ღვიძლში და გამოიყოფა ანთების დროს. ანთების დროს ორგანიზმში გამოყოფილი CRP აქტიურებს კომპლემენტს, რასაც შემდგომში მოყვება ფაგოციტოზი მაკროფაგების მიერ.

### *რატომ კეთდება CRP-ს ტესტი ?*

CRP-ს ძირითადად იყენებენ ორგანიზმში ანთებითი პროცესის მიმდინარეობის დასადგენად.

CRP აგრეთვე გამოიყენება სისტემური დაავადებების მიმდინარეობის შესაფასებლად (მაგ; რევმატოიდული ართრიტი, ვასკულიტები), ასევე ანთების საწინააღმდეგო მედიკამენტების ეფექტურობის დასადგენად.

### *როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?*

სპეციალური მომზადება საჭირო არ არის. ანალიზის გასაკეთებლად საჭიროა ვენური სისხლი.

### *რას ნიშნავს მომატებული CRP?*

ტესტის დადებითი შედეგი ორგანიზმში ანთების მანიშნებელია. CRP მატულობს შემდეგი დაავადებების დროს:

- ინფექციები
- ნაწლავის ანთებითი დაავადებები
- რევმატოიდული ანთება
- რევმატოიდული ცხელება
- გულის შეტევა

### *კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?*

სხვა დასახელება არ გააჩნია.

### *საჭირო ინფორმაცია*

CRP მატულობს ორსულობის ბოლო ტრიმესტრში და კონტრაცეპტივების მიღების შემდეგ.